



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აფაქიძე შალვა პლატონის ძე

აფაქიძე შალვა პლატონის ძე (4. II. 1897, თბილისი, – 16. I. 1988, იქვე),
კინოოპერატორი. წარმოების ორგანიზატორი. საქართვე. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1967).

გადაიღო დოკუმენტური სიუჟეტები და ფილმები: „მელორეობა“ (რეჟ. ვ. შველიძე, 1929), „საკოლმეურნეო მშენებლობა“, „საქართველოს მეცხვარეობა“, (ორივეს რეჟ. ვ. შველიძე, 1930), „თბილისის მაუდის ფაბრიკა“ (რეჟ. გაჩავა, 1930), „ივერია“ (რეჟ. ნ. ლოლობერიძე, 1931), „ოსეთის სამხედრო გზა“ (რეჟ. ნ. ლოლობერიძე, 1932), „თბილისი“ (რეჟ. ვ. მიტროფანოვი, ვ. როკი, 1935), „ერთი დღე ბათუმში“, (ვ. როკი, 1936) და სხვ. სააგიტაციო პროპაგანდისტული ფილმები: „მელორის ბედნიერება“ (რეჟ. ვ. სიდამონ-ერისთავი, 1931, ფილმი აკრძალეს) და „ლურსმანი ჩექმაში“ (რეჟ. მ. კალატოზიშვილი, 1931); იყო დამდგმელი ოპერატორი მხატვრული ფილმებისა: „უქმური“ (რეჟ. ნ. ლოლობერიძე, 1934), „არშაულა“ (ა. პოლიკვევიჩთან და დ. კანდელაკთან ერთად. რეჟ. დ. რონდელი, 1935), „დარიკო“ რეჟ. ს. დოლიძე, 1936), „მეგობრობა“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1940) და სხვ. 1941–50 მუშაობდა მოსკოვში, რსფსრ კინემატოგრაფიის სამინისტროში, მხატვრული ფილმების წარმოების სამმართველოს უფროსის მოადგილედ, „სოვექსპორტფილმის“ მმართველის მოადგილედ, გერმანია-სსრკ კინოსააქციო საზ-ბის სამმართველოს თავ-რედ. 1950-იდან მოღვაწეობდა საქართველოში. სხვადასხვა თანამდებობაზე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ა. გვენცაძე
